შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების – „საქართველოს მელიორაციის“

საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №3

19 აგვისტო 2015 წელი

ქ. თბილისი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

ლევან დვალი	-	შპს ,,საქართველოს მელიორაციის“ გენ. დირექტორი - **კომისიის თავმჯდომარე**

<u>კომისიის წევრები:</u>

ირაკლი სირაძე	-	აქტივების მართვის დირექტორი
ნატალია ხომასურიძე	-	კორპორაციული დირექტორი
მამუკა გელოვანი	-	ფინანსური დირექტორი
გიორგი კალანდაძე	-	საერთაშორისო პროექტების სამსახურის სპეციალისტი
ავთანდილ როხვაძე	-	პროექტირების ჯგუფის სპეციალისტი
ზვიად მანდარია	-	პროექტირების ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
იან ვან მონტფორტი	-	კონსულტანტი
ლევან ტაბატაძე	-	საერთაშორისო პროექტების სამსახურის უფროსი
გივი მეტრეველი	-	ტექნიკური საბჭოს პროექტირების ცენტრის საგეგმო ჯგუფის უფროსი
ზვიად ცაგარეიშვილი	-	იურიდიული სამსახურის უფროსი
იოსებ ოქრომელიძე	-	შესყიდვების სამსახურის უფროსი

კომისიის აპარატის წევრები:

ირმა აბუაშვილი	-	შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი
ნუგზარ უგლავა	-	პროექტირების ჯგუფის უფროსი

დღის წესრიგი

1. შპს „საქართველოს მელიორაციის“ „ზემო სამგორის სარწყავი სისტემის დეტალური საინჟინრო საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ #1692 კონკურსში, კონკურსანტის „ეპტისა სერვერიოს დე ინხერიარა ეს-ელ-ის ფილიალ“-ის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაციისა და შემდგომი დოკუმენტების განხილვა.

2. „ზემო სამგორის სარწყავი სისტემის დეტალური საინჟინრო საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ #1692 კონკურსში, კონკურსანტის „ეპტისა სერვერიოს დე ინხერიარა ეს-ელ-ის ფილიალ“-ის მიერ წარმოდგენილი წინადადების შეფასება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის სხდომას მდივნობას უწევს კომისიის აპარატის წევრი ირმა აბუაშვილი.

აპარატის წევრმა, ირმა აბუაშვილმა კომისიას მოახსენა, რომ „ეპტისა სერვერიოს დე ინხერიარა ეს-ელ-ის ფილიალ"-მა საკონკურსო კომისიის 2015 წლის 18 აგვისტოს სხდომის გადაწყვეტილების (სხდომის ოქმი N2) შესაბამისად, განსაზღვრულ ვადებში, წარმოადგინა საკუთარი საკონკუროს წინადადებებთან დაკავშირებული დაზუსტებული ინფორმაცია.

განხილვა :

კომისია გაეცნო „ეპტისა სერვერიოს დე ინხერიარა ეს-ელ-ის ფილიალ"-ის მიერ, წარმოდგენილ დაზუსტებულ დოკუმენტაციას კერძოდ:

- დადასტურებული გამოცდილება 5000-ზე მეტი ბენეფიციარის (მცირე მეურნეობები) სრული იდენტიფიცირების და სოციალურ-ეკონომიკური დახასიათების განხორციელებაში.
- დადასტურებული გამოცდილება მარცვლეულისთვის, ბოსტნეულისთვის და ხილისთვის ღირებულებათა ჯაჭვის შეფასების და საბაზრო კველევის ჩატარებაში საქართველოში და/ან ევრო-კავშირში.
- დადასტურებული გამოცდილება გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების და გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმების პროექტების მომზადებაში 5000 ჰა-ზე მეტი ფართობის სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტებისთვის. მაგრამ დასაზუტებელია აღნიშნული კვლევა იყო თუ არა ჩატარებული IFC performance standards-ების შესაბამისად. აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად გადაეგზავნა წერილი კომპანიას. და მიიჩნია რომ იგი სრულად შეესაბამება შესმყიდველის მიერ, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

„პრეტენდენტის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, „შემსყიდველის" მიერ საკონკუროს განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, რომლებიც სრულად შეესაბამება საკონსურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილ კრიტერიუმებს, გაიმართა საკონკურო დოკუმენტაციის შესაბამისად, შეფასების 1-ლი ეტაპი - საკონკურსო წინადადების ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება, რომელიც ფასდება საერთო შეფასების ქულის 70%-ით, წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასების შემდგომ გამოიკვეთა რომ „ეპტისა სერვერიოს დე ინხერიარა ეს-ელ-ის ფილიალ"-მა გადალახა აღნიშნული კონკურსის ტექნიკური დოკუმენტაციის „ზ" პუნქტის „ზ-1" ქვეპუნქტის მოთხოვნები და მოხდა შეფასების მეორე ეტაპზე გადასვლა- ფინანსური წინადადების შეფასება, რომელიც ფასდება საერთო შეფასების ქულის 30%-ით. საკონკურსო კომისიის მიერ, პრეტენდენტთა წინადადებების შეფასების შემდეგ გამოვლინდა:

1. „ეპტისა სერვერიოს დე ინხერიარა ეს-ელ-ის ფილიალ"-მა წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებით მიიღო ტექნიკური შეფასება 79,80%, ფინანსური შეფასება 30%, ხოლო ჯამური შეფასება – 85.86%

2. კომისიის გადაწყვეტილება:

1. შპს „საქართველოს მელიორაციის" „ზემო სამგორის სარწყავი სისტემის დეტალური საინჟინრო საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ #1692 კონკურსში, გამარჯვებულია „ეპტისა სერვერიოს დე ინხერიარა ეს-ელ-ის ფილიალ"-ი.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს:

- „ეპტისა სერვერიოს დე ინხერიარა ეს-ელ-ის ფილიალისათვის" შეტყობინების გაგზავნა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისათვის საკონკურსო წინადადების მე-17 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის 5% -ანი გარანტია და მოავლინოს უფლებამოსილი პირი არაუგვიანეს 2015 წლის 15 სექტემბრისა.

- დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს უზრუნველყოს კონკურსის აღნიშნული ოქმი, დაზუსტებული დოკუმენტაციის, შეფასების დოკუმენტაციის, შეფასების ცხრილის, ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ დოკუმენტებისა და გამარჯვებული კონკურსანტისთვის გასაგზავნი წერილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გადაგზავნა გამოქვეყნების მიზნით არაუგვიანეს 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მისამართზე - contest@procurement.gov.ge.

კომისიის თავმჯდომარე:

_____ ლევან დვალი

კომისიის წევრები:

_____ ირაკლი სირაძე

_____ ნატალია ხომასურიძე

_____ მამუკა გელოვანი

_____ გიორგი კალანდაძე

_____ ზვიად მანდარია

_____ იან ვან მონტფორტი

_____ ავთანდილ როხვაძე

_____ ლევან ტაბატაძე

_____ გივი მეტრეველი

_____ ზვიად ცაგარეიშვილი

_____ იოსებ ოქრომელიძე

კომისიის აპარატის წევრები:

_____ ირმა აბუაშვილი

_____ ნუგზარ უგლავა